ოქმი:**ო37.37221111**

თარიღი:**21/04/2022**

ოქმი # 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2022 წელი, 21 აპრილი

ქ. ოზურგეთი

14^{00} – 15^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ნ. ჭანიშვილი, გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, დ. ჭაკნელიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, პ. კიღურაძე, დ. მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 11 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

საკითხების განხილვის დაწყებამდე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლ. ბიგვავამ , გამოთქვა აზრი რიგი ტექნიკური და ორგანიზაციული სამუშაოების გამო, საკრებულოს სხდომა ჩატარებულიყო მიმდინარე წლის 29 აპრილს 16.00 საათზე, ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია .

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

საკითხი განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიებს.

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

საკითხი განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიებს.

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

ამ საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრუქტურული რეორგანიზაციის დაანონსებისთანავე, გამოიკვეთა აზრი-მოხდებოდა თანამშრომლების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება, რაც დისკრიმინაციულია.

9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

12. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

13. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

14. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

გადაწყვიტეს:

1. დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1,2.5,6,7,8,9,10,11,12,13,14- საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

2. N 3,4 საკითხები, უკეთ შესწავლის მიზნით, განსახილველად დაეწეროს დარგობრივ კომისიებს.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი